საქართველოს ადვოკატთა ასოციაცია

ეთიკის კომისია

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

დისციპლინური სახდელის დაკისრების თაობაზე

მეორე დისციპლინური კოლეგიის შემადგენლობა:

კოლეგიის თავმჯდომარე - მარიკა არევაძე

კოლეგიის წევრი - მარინე ცუცქირიძე

კოლეგიის წევრი - ინგა ნებიერიძე

საჩივრის ავტორი: სოფიო ნარსია

საჩივრის ავტორის წარმომადგენელი: ადვოკატები, დოდო აბრალავა /სიითი №1533/1/, ლიკა ქარჩავა /სიითი№6359/

საჩივრის კომისიაში შემოსვლის თარიღი: 14.02.2022

საჩივრის რეგისტრაციის ნომერი: 016/22

საჩივარი შემოტანილია ადვოკატა თინათინ გიორხელიძის /სიითი №0124/ მიმართ

საჩივრის მოთხოვნა: ადვოკატ თინათინ გიორხელიძისთვის დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრება

I აღწერილობითი ნაწილი

1. **საჩივრის ავტორის პოზიცია:**

1.1 2022 წლის 14 თებერვალს ეთიკის კომისიას საჩივრით მომართა სოფიო ნარსიამ და მოითხოვა ადვოკატ თინათინ გიორხელიძის დისციპლინირება. 2023 წლის 24 იანვარს განხილვის კოლეგიის სხდომაზე მომჩივანმა და მისმა წარმომადგენლებმა წარმოადგინეს ზეპირი ახსნა-განმარტება.

1.2 საჩივრის ავტორის განცხადებით, ის თინათინ გიორხელიძეს საადვოკატო ბიუროში შეხვდა, სადაც დალი ანტონოვასთან ერთად, დალის პირად საქმეზე იმყოფებოდა. სწორედ ამ ვიზიტის დროს სოფიო ნარსიასა და თინათინ გიორხელიძეს შორის შედგა კომუნიკაცია, რა დროსაც საჩივრის ავტორმა ადვოკატს გაუზიარა თავისი მდგომარეობა და თავისი შვილობილის მიერ „უკანონოდ წართმეულ" უძრავ ქონებასთან დაკავშირებით მიაწოდა ინფორმაცია, რაზეც თინათინ გიორხელიძემ განუმარტა, რომ შესაძლებელი იყო აღნიშნული ქონების უკან დაბრუნება და დაინტერესების შემთხვევაში, დახმარებას დაჰპირდა. საჩივრის ავტორი დათანხმდა ადვოკატის შემოთავაზებას, მხარეებმა ზეპირსიტყვიერად მოილაპარაკეს საადვოკატო მომსახურეობის გაწევასთან დაკავშირებით და 2015 წლის 09 ნოემბერს მათ შორის გაფორმდა მინდობილობა.

1.3 საჩივრის ავტორის განმარტებით, საქმისთვისა და პირადი საჭიროების მიზნით, თინათინ გიორხელიძემ სხვადასხვა დროს, ჯამში 9000 ევროზე მეტი გამოართვა, თუმცა ადვოკატს არაფერი გაუკეთებია და რეალურად საქმისთვის სასარგებლო წინსვლას ადგილი არ ჰქონია. ის თინათინ გიორხელიძეს ხშირად უკავშირდებოდა ინფორმაციის მისაღებად, თუმცა ადვოკატი არ აწვდიდა სრულყოფილ ინფორმაციას. გარკვეული პერიოდის შემდგომ მან უთხრა რომ საქმე იხილებოდა საქართველოს გენერალურ პროკურატურაში, რაც საჩივრის ავტორისთვის გაუგებარი იყო, რადგან დავა სამოქალაქოსამართლებრივი ურთიერთობიდან გამომდინარეობდა. ამასთან პროკურატურაში შეტანილი განცხადებით ადვოკატი მოწმის სახით ითხოვდა იმ პირის დაკითხვას, რომელიც დავის მოწინააღმდეგ მხარე იყო. მომჩივანის განმარტებით აღნიშნული ხარვეზი ადვოკატის მხრიდან არასათანადო კომუნიკაციის შედეგი იყო. საჩივრის ავტორის წარმომადგენლის განმარტებით, ის ესაუბრა ადვოკატ თინათინ გიორხელიძეს, თუმცა მისგან ვერ მიიღო ინფორმაცია, თუ რა შედეგი დადგა სოფიო ნარსიას საქმესთან დაკავშირებით და რა მოქმედებები განახორციელა კლიენტის ინტერესების უზრუნველსაყოფად. მომჩივანის წარმომადგენლის განცხადებით, ცნობილია მხოლოდ ის გარემოება, რომ ადვოკატმა პოლიციაში წარადგინა სოფიო ნარსიას საქმის თაობაზე განცხადება, რომელიც თავის მხრივ „არასწორად", არაკვალიფიციურად და არასრულყოფილად იყო შედგენილი.

1.4 საჩივრის ავტორის განმარტებით, მას შემდეგ, რაც უკვე აშკარა იყო, რომ საქმისთვის სასარგებლო წინსვლას ადგილი არ ჰქონდა, ადვოკატის ქმედებები გაუგებარი და ბუნდოვანი იყო და ამასთან თინათინ გიორხელიძე სესხის სახით აღებულ თანხას არ აბრუნებდა, ის მიხვდა, რომ ადვოკატი, რეალურად არაფერს აკეთებდა, უძრავი ქონების დასაბრუნებლად და ხელოვნურად ქმნიდა საქმისწარმოების ილუზიას, რამაც საბოლოოდ დააკარგვინა მის მიმართ ნდობა და სოფიო ნარსიამ შეწყვეტა ადვოკატთან საქმიანი ურთიერთობა. კერძოდ, მან 2017 წლის 20 ივნისს გააუქმა 2015 წლის 09 ნოემბერს დადებული მინდობილობა, რომლითაც თინათინ გიორხელიძე მისი რწმუნებულის სახელით სარგებლობდა.

1.5 საჩივრის ავტორის განმარტებით, მან არაერთხელ მიმართა თინათინ გიორხელიძეს, დაებრუნებინა სესხის სახით აღებული თანხა, თუმცა მოთხოვნის მიუხედავად ადვოკატს თანხა არ დაუბრუნებია, რის შემდეგაც სოფიო ნარსიამ სარჩელი შეიტანა თბილისის საქალაქო სასამართლოში და მოითხოვა თინათინ გიორხელიძისათვის, გადაცემული თანხის უკან დაბრუნების დავალდებულება. 2018 წლის 25 ივნისის სასამართლო განჩინებით, მხარეებს შორის

შედგა მორიგების აქტი, რომლითაც თინათინ გიორხელიძემ აღიარა ვალი 8000 ევროს ოდენობით და იკისრა ვალდებულება, 2018 წლის სექტემბრის ბოლომდე დაებრუნებინა 3000 ევრო, ხოლო დარჩენილი 5000 ევრო 11 თვის განმავლობაში, ყოველი თვის 30 რიცხვში გადაეხადა, თუმცა ამ ეტაპზეც ადვოკატმა არ შეასრულა ნაკისრი ვალდებულება და სოფიო ნარსიას არ დაუბრუნა სესხის სახით აღებული თანხა. სწორედ ამ საფუძვლით თბილისის საქალაქო სასამართლომ გასცა სააღსრულებო ფურცელი, თუმცა იმის გამო, რომ ადვოკატს საკუთარ სახელზე არ უფიქსირდება ქონება, გადაწყვეტილების აღრულება რეალურად ვერ მოხდა.

1.6 სოფიო ნარსია განმარტავს, რომ ადვოკატის მიერ განხორციელებულმა არაკეთილსინდისიერმა ქმედებებმა, დააკარგვინა მისდამი ნდობა, რაც საბოლოოდ გახდა მასთან საქმიანი ურთიერთობის გაწყვეტის საფუძველი. ამასთან, ადვოკატი ბევრჯერ დაჰპირდა თანხის დაბრუნებას, თუმცა მიუხედავად აღნიშნულისა, რეალურად არცერთხელ გამოუხატავს სურვილი აენაზღაურებინა მიღებული თანხის მცირე ნაწილი მაინც. საჩივრის ავტორს მიაჩნია, რომ ადვოკატმა დაარღვია პროფესიული ეთიკით ნაკისრი ვალდებულებები და ითხოვს მის დისციპლინირებას.

2. ადვოკატის პოზიცია:

2.1 2022 წლის 7 მარტს ადვოკატმა თინათინ გიორხელიძემ ეთიკის კომისიაში წარმოადგინა წერილობითი ახსნა-განმარტება. 2023 წლის 24 იანვარს განხილვის კოლეგიის სხდომაზე ადვოკატმა ზეპირად ჩამოაყალიბა თავისი პოზიცია და განმარტა, რომ მან სოფიო ნარსია მისი მეგობრის, დალი ანტონოვას მეშვეობით გაიცნო. ისინი ერთმანეთს მეგობრის სახლში შეხვდნენ, სადაც სოფიო ნარსიამ თავისი მდგომარეობის შესახებ მოუყვა. ადვოკატის განმარტებით, მან საჩივრის ავტორს შესთავაზა თავის ოფისსში მისულიყო და საქმის დეტალებზე იქ ესაუბრათ. საბოლოოდ, ადვოკატი გაეცნო საქმეს და სოფიო ნარსიას დათანხმდა საადვოკატო მომსახურეობის გაწევაზე. კერძოდ, ადვოკატს, სოფიო ნარსიას ნების საწინააღმდეგოდ, მისი საკუთრებიდან გასული უძრავი ქონების დაბრუნებაზე უნდა ეწარმოებინა საქმე და დაეცვა კლიენტის ინტერესები. ამ მიზნით მათ წერილობით გააფორმეს საადვოკატო მომსახურეობის შესახებ ხელშეკრულება და ადვოკატი შეუდგა საქმისწარმოებას. თინათინ გიორხელიძის განმარტებით, საქმისწარმოების მიზნით, მან განცხადებით მიმართა სასამართლოს არქივს, გენერალურ პროკურატურას, თუმცა საბოლოოდ ვერ მოახერხა ქონების უკან დაბრუნება.

2.2 თინათინ გიორხელიძე ადასტურებს, რომ სოფიო ნარსიას სესხის სახით სთხოვა თანხა, რაზეც სოფიო ნარსიაც დათანხმდა. ადვოკატის განცხადებით, მას არ ჰქონია თანხის მითვისების განზრახვა და აღნიშნულს ადასტურებს ის ფაქტიც, რომ მან ხელწერილით დაადასტურა სოფიო ნარსიასგან თანხების მიღება. გარკვეული პერიოდის გასვლის შემდეგ, სოფიო ნარსიამ თანხის ანაზღაურების მიზნით მიმართა სასამართლოს. ადვოკატი დაესწრო პროცესს და თანხის გადახდაზე უარი არ უთქვამს, თუმცა ოჯახური პრობლემების გამო, ვერ შეძლო თანხის უკან დაბრუნება. ადვოკატის განცხადებით, მორიგების აღსრულების მიზნით სოფიო ნარსიამ აღსრულების ეროვნულ ბიუროს მიმართა, თუმცა აღმასრულებელმაც ვერ მოახერხა თანხის ამოღება, რადგან, მას რეალურად არ ჰქონდა შესაძლებლობა დაებრუნებინა სოფიო ნარსიასთვის აღებული თანხა. ადვოკატის განმარტებით, ის თანხის გადახდას არ გაურბის და შესაძლებლობის არებობის შემთხვევაში, საჩივრის ავტორს დაუბრუნებს აღებულ თანხას.

3. დისციპლინური დევნის აღმძვრელი საპროცესო კოლეგიის პოზიცია:

3.1 2021 წლის 13 ივლისს პირველმა დისციპლინურმა კოლეგიამ მიიღო გადაწყვეტილება ადვოკატ თინათინ გიორხელიძის მიმართ დისციპლინური დევნის აღძვრის თაობაზე.

3.2 საპროცესო კოლეგიამ მიიჩნია, რომ იმ შემთხვევაში, თუ დადასტურდებოდა, რომ საადვოკატო მომსახურების პერიოდში, კლიენტთან სასესხო ურთიერთობობაში შესვლამ, კლიენტისათვის, ადვოკატის მიმართ ნდობის დაკარგვა გამოიწვია, რაც საბოლოოდ ურთიერთობაზე აისახა და საადვოკატო მომსახურეობის შეწყვეტის საფუძველი გახდა და ამასთან თუ დადგინდებოდა, რომ შეთანხმების შესაბამისად არ გაუწია საჩივრის ავტორს საადვოკატო მომსახურება, თინათინ გიორხელიძის მიერ დარღვეულად ჩაითვლებოდა კვალიფიციური წარმომადგენლობის, ნდობისა და დამოუკიდებლობის პრინციპების დაცვის ვალდებულება. (ადვოკატთა შესახებ საქართველოს კანონი, მუხლი 5(ა), ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსი, მუხლები 2, 3, 8.5 და 6.2).

II სამოტივაციო ნაწილი

4 საქმის ფაქტები:

4.1 უდავო ფაქტები.

საჩივრის ავტორის, მოპასუხე ადვოკატის ახსნა-განმარტების, ასევე, საქმეში არსებული მასალებიდან გამომდინარე, განხილვის კოლეგიამ დაადგინა შემდეგი ფაქტები:

4.1.1 ადვოკატმა თინათინ გიორხელიძემ და სოფიო ნარსიამ 2015 წელს გააფორმეს საადვოკატო მომსახურეობის შესახებ ხელშეკრულება, რომლითაც ადვოკატს კლიენტისათვის მომსახურეობა უნდა გაეწია ქონებრივ დავასთან დაკავშირებით.

განხილვის კოლეგია ეყრდნობა შემდეგ მტკიცებულებებს:

1. მხარეთა წერილობითი პოზიცია;
2. განხილვის კოლეგიის 2023 წლის 24 იანვრის სხდომის ოქმი;
3. 2015 წლის 09 ნოემბრის მინდობილობა;

4.1.2 2015 წელს ადვოკატმა თინათინ გიორხელიძემ სოფიო ნარსიას სახელით, განცხადებით მიმართა გენერალურ პროკურატურას, რომელიც თბილისის პროკურატურამ განსახილველად გადააწერა ვაკე-საბურთალოს რაიონულ პროკურატურას. ვაკე-საბურთალოს რაიონულ პროკურატურამ მიმართა თბილისის პოლიციის დეპარტამენტის ვაკე-საბურთალოს მე-2 განყოფილების უფროს მოადგილეს საკითხის განხილვის მიზნით განხილვის კოლეგია ეყრდნობა შემდეგ მტკიცებულებებს:

განხილვის კოლეგია ეყრდნობა შემდეგ მტკიცებულებებს:

1. მხარეთა წერილობითი პოზიცია;
2. განხილვის კოლეგიის 2023 წლის 24 იანვრის სხდომის ოქმი;
3. თბილისის პროკურატურის წერილი 20.06.2017;

4. ვაკე-საბურთალოს რაიონული პროკურატურის წერილი 30.06.2017

4.1.3 თინათინ გიორხელიძეს, კლიენტის ინტერესების უზრუნველსაყოფათ არ მიუმართავს სასამართლოსთვიოს.

განხილვის კოლეგია ეყრდნობა შემდეგ მტკიცებულებებს:

1. მხარეთა წერილობითი პოზიცია;
2. განხილვის კოლეგიის 2023 წლის 24 იანვრის სხდომის ოქმი;

4.1.4 ადვოკატმა, თინათინ გიორხელიძემ თავისი კლიენტისგან - სოფიო ნარსიასგან, საადვოკატო ურთიერთობის პერიოდში, სესხის სახით აიღო 8000 ევრო.

განხილვის კოლეგია ეყრდნობა შემდეგ მტკიცებულებებს:

1. მხარეთა წერილობითი პოზიცია;
2. განხილვის კოლეგიის 2023 წლის 24 იანვრის სხდომის ოქმი;
3. 2018 წლის 25 ივნისის სასამართლო განჩინება საქმეზე №2/12930-18;
4. სააღსრულებო ფურცელი საქმეზე №2/12930-18;

4.1.5 თინათინ გიორხელიძემ აღებული სესხი სოფიო ნარსიას, დათქმულ ვადაში არ დაუბრუნა, რის შემდგომაც სოფიო ნარსიას გაუჩნდა ეჭვი, ადვოკატის კეთილსინდისიერების მიმართ, რაც საბოლოოდ მათ შორის საქმიანი ურთერთობის შწყვეტის საფუძველი გახდა.

განხილვის კოლეგია ეყრდნობა შემდეგ მტკიცებულებებს:

1. მხარეთა წერილობითი პოზიცია;
2. განხილვის კოლეგიის 2023 წლის 24 იანვრის სხდომის ოქმი;
3. საქმეში წარმოდგენილი N170680734 სანოტარო აქტი, მინდობილობის გაუქმების შესახებ;

4.1.6 2017 წლის 20 ივნის სოფიო ნარსიამ გააუქმა თინათინ გიორხელიძეზე გაცემული მინდობილობა.

განხილვის კოლეგია ეყრდნობა შემდეგ მტკიცებულებებს:

1. მხარეთა წერილობითი პოზიცია;
2. საქმეში წარმოდგენილი N170680734 სანოტარო აქტი, მინდობილობის გაუქმების შესახებ;
3. განხილვის კოლეგიის 2023 წლის 24 იანვრის სხდომის ოქმი;

4.1.7 სოფიო ნარსიამ მიმართა სასამართლოს, სადაც შედგა მორიგების აქტი, „ადვოკატი აღიარებს ვალს 8000 ევროს ოდენობით და იღებ ვალდებულებას ამ თანხიდან 2018 წლის სექტემბრის ბოლომდე გადაუხადოს მოსარჩელე სოფო ნარსიას 300 ევრო, დარჩენილი 500 ევრო - სექტემბრიდან 11 თვის განმავლობაში, ყოველი თვის 30 რიცხვში 454 ევროს ოდენობით“. დვოკატმა არ შეასრულა მორიგების პირობები და შეთანხმება აღსრულების ეროვნულ ბიუროს გადაეცა აღსასრულებლად.

განხილვის კოლეგია ეყრდნობა შემდეგ მტკიცებულებებს:

1. მხარეთა წერილობითი პოზიცია;
2. განხილვის კოლეგიის 2023 წლის 24 იანვრის სხდომის ოქმი;
3. 2018 წლის 25 ივნისის სასამართლო განჩინება საქმეზე №2/12930-18;
4. სააღსრულებო ფურცელი საქმეზე №2/12930-18;

4.1.8 თინათინ გიორხელიძეს საადვოკატო მომსახურების პერიოდში კლიენტისაგან აღებული სესხი სოფიო ნარსიასთვის დღემდე არ აქვს დაბრუნებული.

განხილვის კოლეგია ეყრდნობა შემდეგ მტკიცებულებებს:

1. მხარეთა წერილობითი პოზიცია;
2. განხილვის კოლეგიის 2023 წლის 24 იანვრის სხდომის ოქმი;

4.2 სადავო ფაქტები.

საჩივრის ავტორისა და მოპასუხე ადვოკატის პოზიციებიდან, ასევე საქმეში არსებული მასალებიდან გამომდინარე, განხილვის კოლეგიამ სადავოდ მიიჩნია შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები:

4.2.1 მხარეებს შორის სადავოა, აწვდიდა თუ არა ადვოკატი კლიენტს სათანადო წესით საქმის წარმოების შესახებ ინფორმაციას.

განხილვის კოლეგიამ შეისწავლა მხარეთა პოზიციები, გამოიკვლია წარმოდგენილი მასალები და დაადგინა, რომ ადვოკატ თინათინ გიორხელიძეს კლიენტთან არ ჰქონდა შეთანხმებული საქმისწარმოების სტრატეგია და სოფიო ნარსია მიმდინარე საქმესთან მიმართებით არ იყო სათანადოდ ინფორმირებული.

საქმეში არსებული მასალებით და მხარეთა პოზიციით დგინდება, რომ ადვოკატ თინათინ გიორხელიძეს, მომჩივანისგან გაცემული მინდობილობის ფარგლებში, ქონებრივ დავაზე, კლიენტის ინტერესების დასაცავად, საქმე უნდა ეწარმოებინა, როგორც სასმართლოში ასევე, საქმის საჭიროებიდან გამომდინარე, სხვა სახელმწიფო ორგანოებში. საქმეში წარმოდგენილი მასალებიდან და მხარეთა პოზიციიდან ირკვევა, რომ ადვოკატ-კლიენტის ურთიერთობის დაწყების ეტაპზე, 2015 წელს ადვოკატმა თინათინ გიორხელიძემ სოფიო ნარსიას სახელით, მიმართა გენერალურ პროკურატურას. თავის მხრივ, მომჩივანი მიუთითებს, რომ თავდაპირველად მას, ადვოკატის აღნიშნულ ქმედებასთან დაკავშირებით ინფორმაცია არ ჰქონია, რასაც ადასტურებს, ის ფაქტი, რომ პროკურატურაში შეტანილი განცხადებით მოწმის სახით მითითებული იყო მოწინააღმდეგე მხარე. ამის საპირისპიროდ ადვოკატს არ წარმოუდგენია შემხვედრი პოზიცია, თინათინ გიორხელიძემ საპირისპიროდ მხოლოდ ის განმარტა, რომ ის სატელეფონო კომუკიკაციის საშალებით აწვდიდა კლიენტს საქმის მიმდინარეობასთან დაკავშირებით ინფრომაციას, თუმცა ადვოკატს არ წარმოუდგენია, რაიმე იმგვარი მტკიცებულება, რომელიც დაადასტურებდა, კლიენტთან სათანადო კომუნიკაციის არსებობის ფაქტს და ადვოკატის ქმედებების შესახებ მის ინფორმირებულობას.

კლიენტისთვის დღემდე უცნობია, რატომ შეიტანა ადვოკატმა განცხადება, მხოლოდ პროკურატურაში და სამოქალაქო ურთიერთობიდან გამომდინარე დავაში, რატომ არ მიმართა სასმართლოს, თავის მხრივ, ადვოკატს აღნიშნულთან დაკავშირებით არ წრმოუდგენია შემხვედრი პოზიცია, თინათინ გიორხელიძემ მხოლოდ ის მიუთითა, რომ მის მიერ პროკურატურაში განცხადების შეტანა გამომდინარეობდა საქმეში არსებული გარემოებებიდან, რომლებიც მიუთითებდნენ შესაძლო თაღლითობის ფაქტს. აღნიშნულით დასტურდება, რომ ადვოკატმა არ შეათანხმა კლიენტთან საქმისწარმოების სტრატეგია და კლიენტი ადვოკატის მხრიდან არ იყო სათანადოდ ინფორმირებული. განხილვის კოლეგია ადგენს, რომ ადვოკატის მიერ პროკურატურისადმი მიმართული განცხადება არ იყო კვალიფიციურად შედგენილი და არ გამოხატავდა კლიენტის ინტერესებს და აღნიშნულის შემდგომ, კლიენტისთის უცნობი იყო მისი საქმის მდგომარეობა.

5. შემაჯამებელი დასკვნა:

საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიის განხილვის კოლეგია გაეცნო საქმის მასალებს, მოისმინა მხარეთა ახსნა-განმარტება და მიიჩნევს, რომ ადვოკატ თინათინ გიორხელიძის მიერ ჩადენილია დისციპლინური გადაცდომა.

6. სამართლებრივი შეფასება:

6.1 განხილვის კოლეგია გაეცნო საქმეში წარმოდგენილ მასალებს, მოისმინა მხარეთა პოზიცია და ადვოკატის მიერ, საადვოკატო ურთიერთობის პერიოდში კლიენტისაგან სესხის აღების ნაწილში, მიიჩნია, რომ ადვოკატ თინათინ გიორხელიძეს მიერ დარღვეულია პროფესიული ქცევის შემდეგი ნორმები:

ადვოკატი ვალდებულია არ განახორციელოს ისეთი ქმედება და არ დაამყაროს ისეთი ურთიერთობა, რომელიც საფრთხეს შეუქმნის კლიენტის ინტერესებს, ადვოკატის პროფესიულ საქმიანობას ან დამოუკიდებლობას (ადვოკატთა შესახებ საქართველოს კანონი, მუხლი 8.1).

ადვოკატი თავისი პროფესიული საქმიანობის განხორციელებისას დამოუკიდებელია ყოველგვარი გავლენისგან ან სხვა ზეწოლისაგან, მათ შორის მისი პირადი ინტერესებიდან და ემორჩილება მხოლოდ საქართველოს კანონმდებლობას, საერთაშორისო სამართლის და პროფესიული ეთიკის ნორმებს (ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსი, მუხლი 2).

კლიენტისა და ადვოკატის ურთიერთობა ეფუძნება ნდობას. ადვოკატისადმი კლიენტის ნდობა ეფუძნება ადვოკატის პირად ღირსებას, პატიოსნებას, შეუვალობას კომპეტენტურობას და დამოუკიდებლობას ადვოკატმა არ უნდა იმოქმედოს ისე, რომ ეჭვქვეშ დააყენოს მისდამი კლიენტის ნდობა. აღნიშნული თვისებები ადვოკატის პროფესიული ვალდებულებაა (ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსი, მუხლი 3).

6.2 კლიენტ-ადვოკატის ურთიერთობა დგას მხარეთა ნდობაზე, რომელიც თავის მხრივ ადვოკატის კომპეტენტურობას, პატიოსნებას, დამოუკიდებლობასა და მის ღირსებას ემყარება. კლიენტ-ადვოკატის შეთანხმება, თავისი ბუნებიდან გამომდინარე, სადაც კლიენტი, სპეციალური ცოდნის მქონე პირის მხრიდან, თავისი ინტერესების რეალიზების მიზნით, დახმარების მიმღებად

გვევლინება, ადვოკატს აკისრებს ვალდებულებას თავისი ქმედებით, არათუ ეჭვქვეშ დააყენოს მისდამი ნდობა, არამედ მასზე დაკისრებული პოზიტიური ვალდებულებიდან გამომდინარე, უზრუნველყოს კლიენტთან ნდობაზე დამყარებული ურთიერთობის ჩამოყალიბება. თავის მხრივ, კლიენტთან დაწყებული სასესხო ურთიერთობა გავლენას ახდენს ადვოკატ-კლიენტის ურთიერთობაზე, მათ შორის არსებულ ნდობაზე, რის პარალელურადაც ვერ იქნება უზრუნველყოფილი კლიენტისთვის დამოუკიდებელი პროფესიული რჩევის მიცემა.

6.3 „ადვოკატმა არ უნდა ისარგებლოს კლიენტის ნდობით და მიაყენოს მის ინტერესებს ზიანი. კლიენტისთვის სესხის აღების მოთხოვნის წაყენება და შემდგომ ამ თანხის ადვოკატისთვის გადაცემა საფრთხის ქვეშ აყენებს კლიენტის ნდობას ადვოკატის მიმართ“ (ეთიკის კომისიის 28.06.2019 წლის გადაწყვეტილება, დისციპლინური საქმე N 034/18).

6.4 „ადვოკატს პროფესიული საქმიანობის განხორციელებისას კლიენტის წინაშე აკისრია დამოუკიდებლობის პერსონალური განსჯის ვალდებულება. ადვოკატებმა პროფესიული განსჯა უნდა განახორციელონ თავიანთი კლიენტის სახელით, ნებისმიერი სახის გავლენის გარეშე, მათ შორის თავიანთი პირადი ინტერესებიდან... კომისია მხედველობაში იღებს არამარტო კლიენტისათვის ზიანის მიყენების რეალურ შემთხვევას, არამედ, ასევე ასეთი ზიანის მიყენების რისკს, რომელიც არამხოლოდ კონკრეტული კლიენტის ინტერესებს შეეხება, არამედ, საფრთხე ექმნება ადვოკატის, როგორც მართლმსაჯულების სისტემის არსებით ნაწილის მიმართ კლიენტებისა და საზოგადოების სხვა წევრთა ნდობას...“ (იხ. 2011 წლის 07 მარტის ეთიკის კომისიის გადაწყვეტილება, საქმე 057/10).

6.5 განხილვის კოლეგია იზიარებს 2019 წლის 03 აპრილის ეთიკის კომისიის გადაწყვეტილებას დისციპლინური საქმე №034/18, რომლის მიხედვითაც, „მნიშვნელოვანია ადვოკატმა დამოუკიდებლობა შეინარჩუნოს საადვოკატო საქმიანობის განხორციელებისას არა მხოლოდ სახელმწიფოსგან და გარეშე პირებისაგან, არამედ თავად კლიენტისაგან. წარმომადგენლობის პროცესში ადვოკატსა და კლიენტს შორის სხვა სამოქალაქო - სამართლებრივი ურთიერთობის ჩამოყალიბება, მათ შორის სესხის ხელშეკრულების გაფორმება, საფრთხეს უქმნის ადვოკატის დამოუკიდებლობას, იმის გათვალისწინებით, რომ სასესხო ურთიერთობიდან გამომდინარე ადვოკატს კლიენტის მიმართ (ან პირიქით) წარმოეშობა გარკვეული უფლებები და ვალდებულებები. ამდენად, წარმომადგენლობის პროცესში სასესხო ურთიერთობა ბოჭავს ადვოკატსა და კლიენტს, რაც თავისთავად წარმოადგენს საფრთხეს და შესაძლოა, იქონიოს გავლენა ადვოკატის მიერ პროფესიული საქმიანობის დამოუკიდებლად განხორციელებაზე. კერძოდ, იქმნება საფრთხე, რომ ვალდებულების შესრულების თავიდან არიდების ან გადავადების მიზნით, ადვოკატმა საქმის კეთილსინდისიერად და კვალიფიციურად წარმოების ნაცვლად, აქცენტი გადაიტანოს კლიენტის კეთილგანწყობის მოპოვებაზე...“.

6.6 მხარეთა პოზიციისა და საქმეში წარმოდგენილი მასალების შეფასების შედეგად დასტურდება, რომ 2015 წლის ნოემბრიდან ადვოკატ თინათინ გიორხელიძეს შეთანხმების შესაბამისად უნდა გაეწია საადვოკატო მომსახურება სოფიო ნარსიასთვის ქონებრივ დავასთან დაკავშირებით (პარ. 4.1.1). ადვოკატი ადასტურებს, რომ საადვოკატო მომსახურების განხორციელების პერიოდში, საჩივრის ავტორმა მისი თხოვნით გადასცა თანხა სესხის სახით, ხოლო მას შემდგომ, რაც

ადვოკატმა სესხი ვეღარ დააბრუნა, სოფიო ნარსიას გაუჩნდა ეჭვი, ადვოკატის კეთილსინდისიერების მიმართ, რაც საბოლოოდ მათ შორის საქმიანი ურთერთობის შწყვეტის საფუძველი გახდა. კერძოდ 2017 წლის 20 ივნის სოფიო ნარსიამ გააუქმა თინათინ გიორხელიძეზე გაცემული მინდობილობა და ადვოკატისთვის გადაცემული თანხის ანაზღაურების მიღების მიზნით მიმართა სასამართლოს, ხოლო ადვოკატის მხრიდან, სასმართლოს აქტის აღუზრულებლობის გამო სოფიო ნარსიამ მიმართა აღსრულების ეროვნულ ბიუროს (პარ. 4.1.7).

6.7 მხარეთა პოზიციის და აგრეთვე, საქმეში წარმოდგენილი საქმის მასალების შეფასების შედეგად დასტურდება, რომ მომჩივანსა და თინათინ გიორხელიძეს შორის ჩამოყალიბდა სასესხო ურთიერთობა, „ადვოკატი აღიარებს ვალს 8000 ევროს ოდენობით და იღებ ვალდებულებას ამ თანხიდან 2018 წლის სექტემბრის ბოლომდე გადაუხადოს მოსარჩელე სოფო ნარსიას 300 ევრო, დარჩენილი 500 ევრო - სექტემბრიდან 11 თვის განმავლობაში, ყოველი თვის 30 რიცხვში 454 ევროს ოდენობით“ (პარ.4.6) მოცემულ შემთხვევაში, კომისიის კომპეტენციას განეკუთვნება, არა ადვოკატის ფულადი ვალდებულების დაკისრების თაობაზე მსჯელობა, არამედ, იმის დადგენა, თუ მომსახურების პერიოდში, ადვოკატ-კლიენტის სასესხო სამართლებრივი ურთიერთობა და მისით გამოწვეული შედეგები, რამდენად შეესაბამება ეთიკურ სტანდარტებს.

6.8 განხილვის კოლეგია განმარტავს, რომ კლიენტ-ადვოკატს შორის სასესხო ურთიერთობის დაწყება საკმარისია იმისათვის, რომ ადვოკატის დამოუკიდებლობას, მისი პირადი ინტერესებისგან თავისუფლად საადვოკატო მომსახურების განხორციელებას და ადვოკატ-კლიენტს შორის არსებულ ნდობას, შეექმნას საფრთხე. მოცემულ შემთხვევაში, კლიენტთან დაწყებულმა სასესხო ურთიერთობამ, გავლენა იქონია კლიენტ-ადვოკატის ურთიერთობაზე, მათ შორის არსებულ ნდობაზე, რის პარალელურადაც, ადვოკატის მხრიდან, ვერ იქნა უზრუნველყოფილი კლიენტისთვის დამოუკიდებელი პროფესიული რჩევის მიცემა. ადვოკატის ინიციატივით, მომჩივანსა და თინათინ გიორხელიძეს შორის ჩამოყალიბებულმა სასესხო ურთიერთობამ გავლენა იქონია საადვოკატო მომსახურეობასა და ადვოკატის მიმართ ნდობაზე. მომჩივანმა საადვოკატო ურთიერთობა მას მერე შეწყვიტა, რაც მას ადვოკატის კეთილსინდისიერების მიმართ, თანხის ვადაში დაუბრუნებლობის გამო, გაუჩნდა ეჭვები.

6.9 კოლეგია მიიჩნევს, რომ ადვოკატმა ისარგებლა რა კლიენტის ნდობით, გამოიყენა პროფესიული სტატუსი კლიენტთან ურთიერთობისას და მისგან რამდენჯერმე მიიღო თანხა სესხის სახით პირადი ინტერესების განხორციელების მიზნით, რამაც საბოლოოდ დააზიანა კლიენტის ინტერესები.

6.10 შედეგად, კოლეგია მიიჩნევს, რომ ადვოკატ თინათინ გიორხელიძის მიერ დაირღვა დამოუკიდებლობის და ნდობის პრინციპი (ადვოკატთა შესახებ საქართველოს კანონი, მუხლი 8.1, ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსი, მუხლი 2. და მუხლი 3).

6.11 განხილვის კოლეგია ადგენს, რომ ადვოკატმა თინათინ გიორხელიძემ შეთანხმების შესაბამისად არ გაუწია საჩივრის ავტორს საადვოკატო მომსახურება, არ აწვდიდა კლიენტს საქმის მიმდინარეობის შესახებ ინფორმაციას და ადვოკატის მიერ დარღვეულია შემდეგი ნორმები:

ადვოკატმა კვალიფიციურად და კეთილსინდისიერად უნდა მისცეს რჩევა კლიენტს და განახორციელოს წარმომადგენლობა (ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსი მუხლი 8.5);

ადვოკატი ვალდებულია დროულად მიაწოდოს კლიენტს ყველა ინფორმაცია ... რომელიც დაკავშირებულია მისი საქმის წარმოებასთან (ადვოკატთა შესახებ საქართველოს კანონი, მუხლი 6.2);

ადვოკატმა კლიენტს მსთან შეთანხმებული წესით უნდა მიაწოდოს ინფორმაცია მასზე მინდობილი საქმის მსვლელობისა და საქმის წარმოების მოსალოდნელი ხარჯების შესახებ. (ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსი მუხლი 8.6.)

6.12 კოლეგია განმარტავს, რომ ეთიკის კომისიის კომპეტენციას არ განეკუთვნება შეაფასოს ადვოკატის მიერ საქმის წარმართვის სტრატეგია, თუმცა კვალიფიციურად და კეთილსინდისიერად საადვოკატო მომსახურების განხორციელების ეთიკური ვალდებულება ადვოკატს აკისრებს პროფესიული პასუხისმგებლობის ფარგლებში კლიენტის საუკეთესო ინტერესების დაცვის ვალდებულებას. მათ შორის მნიშვნელოვანია საქმის წარმართვის თაობაზე კლიენტის ინფორმირება. ,,ადვოკატმა კლიენტს უნდა მიაწოდოს საქმესთან დაკავშირებული ინფორმაცია და კავშირი ჰქონდეს მასთან საქმის წარმოების პროცესში, როდესაც ადვოკატის მიერ საქმესთან დაკავშირებით ხორციელდება საპროცესო მოქმედებები და საქმესთან დაკავშირებით არსებობს ახალი გარემოებები“ (სააეკგ N022/10 პარ.4.8 27.09.10).

6.13 ,,ინფორმაციის მიწოდების ვალდებულება უკავშირდება გადაწყვეტილების მიღების უფლებამოსილების გადანაწილებას, კლიენტი ჩართულია საქმის მიმდინარეობის თაობაზე და აქვს შესაძლებლობა, გონივრულად მართოს საკუთარი ქმედებები. ადვოკატი ვალდებულია განუმარტოს კლიენტს საკითხები ზედმიწევნით, რაც კლიენტს მისცემს შესაძლებლობას, მიიღოს ინფორმირებული გადაწყვეტილებები.“ (სააეკგ N092/11 პარ.7. 22.03.12).

6.14 განხილვის კოლეგიამ დაადგინა, რომ ადვოკატ თინათინ გიორხელიძეს კლიენტთან არ ჰქონდა შეთანხმებული საქმისწარმოების სტრატეგია და სოფიო ნარსია მიმდინარე საქმესთან მიმართებით არ იყო სათანადოდ ინფორმირებული. (პარ.4.2.1)

6.15 შედეგად კოლეგია მიიჩნევს, რომ ადვოკატ თინათინ გიორხელიძის მიერ დაირღვეულია ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსი მე-8 მუხლის მე-5; მე-6 ნაწილები და ადვოკატთა შესახებ საქართველოს კანონი, მე-6 მუხლის მე-2 ნაწილი.

6.16 კოლეგიამ იმსჯელა ადვოკატის მიმართ გამოსაყენებლი სახდელის პროპორციულობაზე და მიაჩნია, რომ ჩადენილი დისციპლინური გადაცდომის სიმძიმიდან გამომდინარე, ადვოკატ თინათინ გიორხელიძეს მიმართ გამოყენებული უნდა იქნეს დისციპლინური სახდელის სახით - გაფრთხილება.

6.17 „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის 34-ე მუხლი განსაზღვრავს დისციპლინური სახდელის სახეებსა და ზემოქმედების ღონისძიების ფორმებს, რომელიც შესაძლოა ადვოკატს დაეკისროს დისციპლინური გადაცდომის ჩადენის შემთხვევაში. ეს სახდელებია გაფრთხილება, საადვოკატო საქმიანობის უფლების შეჩერება და საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის

წევრობის შეწყვეტა, ხოლო ზემოქმედების ღონისძიებას წარმოადგენს კერძო სარეკომენდაციო ბარათით მიმართვა.

6.18 განხილვის კოლეგია იზიარებს საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2017 წლის 22 მაისის სადისციპლინო პალატის გადაწყვეტილება, საქმე №დს-შ/3-17, რომლის მიხედვიტაც, "სახდელის დანიშვნის დროს ეთიკის კომისიის მიერ მხედველობაში მიიღება ის ზოგადი წესები, რომლებიც განაპირობებს სამართლიანი სახდელის დაკისრებას, პირის დასჯას მის მიერ ჩადენილი ქმედების თანაზომიერად. აღნიშნულის მიღწევა შესაძლებელია ჩადენილი გადაცდომის ხასიათის, დამრღვევის პიროვნების, გადაცდომის სიმძიმის, შემამსუბუქებელი და დამამძიმებელი გარემოებების მხედველობაში მიღებით, რაც სახდელის ინდივიდუალიზაციის პრინციპის გატარების აუცილებელი პირობათაგანია".

6.19 ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ დებულების 2(5) მუხლი უთითებს, რომ ადვოკატისთვის დისციპლინური სახდელის დაკისრებისას გათვალისწინებული უნდა იქნას დისციპლინური გადაცდომის სიმძიმე და მიყენებული ზიანი. „ადვოკატის მიერ ჩადენილ დისციპლინურ გადაცდომასთან შეფარდებული სახდელის პროპორციულობის განხილვისას ეთიკის კომისიამ უნდა გაითვალისწინოს ადვოკატის მიერ ჩადენილი გადაცდომის სახე, სიმძიმე, პროფესიისათვის მიყენებული ზიანი, კლიენტისათვის მიყენებული ზიანი, ადვოკატის პიროვნება, მისი რეპუტაცია, ადვოკატის მიერ ადრე ჩადენილი გადაცდომები, რომლებიც არ არის გაქარწყლებული, ადვოკატის დამოკიდებულება ჩადენილი ქმედების მიმართ, არაეთიკური ქცევის თაობაზე ადვოკატის ადეკვატური აღქმა და სხვა გარემოებები, რომელიც მნიშვნელოვანია ეთიკის კოდექსის ძირითადი მიზნის მისაღწევად" (ეთიკის კომისიის 2018 წლის 31 მაისის გადაწყვეტილება, საქმე №098/17).

6.20 განხილვის კოლეგია განმარტავს, რომ მოცემულ შემთხვევაში, ადვოკატ თინათინ გიორხელიძის მხრიდან, საადვოკატო მომსახურეობის გაწევის პარალელურად, კლიენტთან სასესხო ურთიერთობაში შესვლით, ზიანი მიადგა, როგორც უშუალოდ კლიენტის ინტერესებს, ასევე თავად პროფესიას, რაც ეთიკის კოდექსის მიზნებიდან გამომიდინარე, დისციპლინური პასუხისმგებლობის განსაზღვრისას მნიშვნელოვანი გარემოებაა. კერძოდ, საადვოკატო მომსახურეობის გაწევისას, თინათინ გიორხელიძის ინიციატივით კლიენტთან სასესხო ურთიერთობაში შესვლამ, საფრთხის ქვეშ დააყენა ადვოკატის დამოუკიდებლობა, ხოლო, ამ თანხის დაუბრუნებლობამ, ეჭვები გაუჩინა კლიენტს და საბოლოდ დააზიანა, როგორც კლიენტ-ადვოკატის ურთიერთობა, ასევე საზოგადოებაში პროფესიის მიმართ არსებული ნდობის ხარისხი. შესაბამისად თინათინ გიორხელიძის ქცევა მიემართება, არამხოლოდ მისი, როგორც ერთი კონკრეტული ადვოკატის რეპუტაციას, არამედ მთლიან პროფესიას, რაც კიდევ უფრო მეტ პასუხისმგებლობას მატებს ადვოკატს არაეთიკური ქცევისას.

6.21 განხილვის კოლეგია ზემოაღნიშნულ გარემოებასთან ერთად დისციპლინური სახდელის განსაზღვრისას, ითვალისწინებს ადვოკატ თინათინ გიორხელიძეს დამოკიდებულებას ჩადენილი ქმედებისადმი. გასათვალისწინებელია ადვოკატის მიერ გამოხატული მზაობა და სურვილი დაუბრუნოს მომჩივანს მისგან მიღებული თანხა, თუმცა მნიშვნელოვანია აქვე

გამახვილდეს ყურადღება იმ გარემოებაზე, რომ თანხის მიღებიდან გასულია ხანგრძლივი დრო და ადვოკატს ის დღემდე არ აქვს დაბრუნებული მომჩივანისთვის. ამასთან ადვოკატმა დაარღვია პროფესიული ვალდებულება, სათანადო წესით მოეხდინა კლიენტის ინფორმირება, მიმდინარე საქმესთან დაკავშირებით. შესაბამისად, კოლეგია დისციპლინური სახდელის განსაზღვრისას ითვალისწინებს იმ გარემოებასაც, რომ შემდგომში საადვოკატო პრაქტიკაში, ადვოკატმა გააცნობიეროს ზემოაღნული ეთიკური ვალდებულებების დაცვის მნიშვნელობა, რითიც ადვოკატი შეძლებს კლიენტის საუკეთესო ინტერესების დაცვას და ეთიკურ ვალდებულებათა დარღვევის პრევენციას.

6.22 ამ პირობებში, კოლეგიას მიაჩნია, რომ კერძო სარეკომენდაციო ბარათით მიმართვით ვერ იქნება მიღწეული დისციპლინირების მიზანი, ამავდროულად, ეთიკის კომისია განმარტავს, რომ ადვოკატ თინათინ გიორხელიძისთვის მოცემული დისციპლინური საქმიდან გამომდინარე საადვოკატო საქმიანობის უფლების შეჩერება ან საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის წევრობის შეწყვეტა, ზედმეტად მკაცრი და არაპროპორციული სახდელი იქნება მის მიერ ჩადენილ გადაცდომასთან მიმართებით. ეთიკის კომისია, სახდელის შეფარდებისას ასევე ითვალისწინებს გარემოებას, რომ ადვოკატ თინათინ გიორხელიძეს გადაწყვეტილების გამოტანის მომენტისათვის არ აქვს შეფარდებული სხვა დისციპლინური სახდელი.

6.23 ეთიკის კომისიამ იხელმძღვანელა პასუხისმგებლობის სამართლიანობისა და კანონიერების პრინციპით, მხედველობაში მიიღო ეთიკის კომისიის პრაქტიკა, საქართველოს უზენაესი სასამართლოს სადისციპლინო პალატის განმარტებები პასუხისმგებლობის პროპორციულობასთან დაკავშირებით, და მიიჩნია, რომ ადვოკატ თინათინ გიორხელიძეს მიერ ჩადენილი დისციპლინური გადაცდომების გამო, დისციპლინური სახდელის ფორმად უნდა განესაზღვროს გაფრთხილება.

6.24 განხილვის კოლეგიამ იხელმძღვანელა "ადვოკატთა შესახებ" საქართველოს კანონის 34.1(ა)-ე, 35-ე, 35[1]-ე, 36-ე მუხლებით; ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობის და დისციპლინური წარმოების შესახებ დებულების მე-4.5, მე-4.6, მე-19, მე-20, 33-ე, 35-ე, მე-40.2 მუხლებით და გადაწყვიტა:

III სარეზოლუციო ნაწილი

1. დისციპლინურ საქმეზე №016/22 ადვოკატ თინათინ გიორხელიძის /სიითი№0124/ მიმართ, დისციპლინური პასუხისმგებლობის ფორმად განისაზღვროს გაფრთხილება.
2. ეთიკის კომისიის გადაწყვეტილების ასლი ჩაბარდეს მხარეებს.
3. ეთიკის კომისიის გადაწყვეტილება ადვოკატის მიერ შეიძლება გასაჩივრდეს საქართველოს უზენაეს სასამართლოში, დასაბუთებული გადაწყვეტილების ასლის ჩაბარებიდან ერთი თვის

ვადაში, საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიაში საჩივრის წარდგენის გზით.

კოლეგიის თავმჯდომარე: /მარიკა არევაძე/

კოლეგიის წევრი: /მარინე ცუცქირიძე/

კოლეგიის წევრი: /ინგა ნებიერიძე/